საჯარო ინფორმაციის შესახებ მე- II კვარტლის ანგარიში

2014 წლის 01 აპრილიდან 30 ივნისის ჩათვლით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 5 (ხუთი) განცხადება.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა დაწესებულებაში არ შემოსულა.

სამინისტროში საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 ოქტომბრის N-12/126 ბრძანებით დანიშნული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი - ანა მელაშვილი.

ხოლო საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას უზრუნველყოფს სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - რამაზ მესხიძე.

საჯარო ინფორმაციის გაცემისას სამინისტრო ეყრდნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის N-4 დადგენილებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებასა და სხვა მოქმედ კანონმდებლობას.